სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
LEPL KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ბრძანება №32

„სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული საცავების დროებით დახურვის თაობაზე“ სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 6 მარტის N18 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

17 ივნისი, 2020 წ. **ქ. თბილისი**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული საცავების დროებით დახურვის თაობაზე“ სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 6 მარტის N18 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „1. 2020 წლის 9 მარტიდან 15 ივლისამდე დაიხუროს „სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ხელნაწერთა დაცვის, აღრიცხვისა და ექსპონირების დეპარტამენტში შემავალი საცავები და სამკითხველო დარბაზი არათანამშრომელი დაინტერესებული პირებისთვის.

   1.1. დაევალოს ხელნაწერთა დაცვის, აღრიცხვისა და ექსპონირების დეპარტამენტის სამკითხველო დარბაზის თანამშრომლებს შეიმუშავონ გრაფიკი და განაგრძონ დაკისრებული მოვალეობის შესრულება ყოველდღიურად 12:00 საათიდან 16:00 საათამდე.“

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, პოპულარიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილებას ამ ბრძანების სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.manuscript.ge) გამოქვეყნება.
3. დაევალოს სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებელი **ზაალ აბაშიძე**

0193 თბილისი, მ. ალექსიძის ქ., № 1/3
0193 Tbilisi, M. Alexidze str., № 1/3
ტელ./Tel.: (995 32) 247-42-42
ფაქსი/Fax: (995 32) 236-32-41
www.manuscript.ge